

შპს „ფორმულა“

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	3
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	
1. კორპორატიული ინფორმაცია	4
2. მომზადების საფუძველი.....	4
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	4
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	7
5. შემოსავალი რეალიზაციიდან	7
6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება.....	7
7. კომერციული ხარჯები	7
8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	8
9. ძირითადი საშუალებები.....	9
10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10
11. ფული და ფულის ექვივალენტები	10
12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	10

შპს „ფორმულა“


მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2020 (არააუდიტირებული)	2019 (არააუდიტირებული)
შემოსავალი რეალიზაციიდან	5	1,466,523	6,925,256
რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	6	(2,128,956)	(7,636,006)
საერთო ზარალი		(662,433)	(710,750)
კომერციული ხარჯები	7	(55,620)	(201,508)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(170,847)	(420,722)
სხვა საოპერაციო შემოსავალი		234,765	239,954
საოპერაციო ზარალი		(654,135)	(1,093,026)
საპროცენტო ხარჯი		(3,912)	(7,426)
მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან	14	394	
ზარალი გადასახადების გადახდამდე		(658,033)	(1,100,058)
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული ზარალი		(658,033)	(1,100,058)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 23 სექტემბერს:



ლეანა ხელაშვილი
დირექტორი

შპს „ფორმულა“

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

		2020 (არააუდიტირებული)	2019 (არააუდიტირებული)
	შენიშვნა		
შემოსავალი რეალიზაციიდან	5	1,466,523	6,925,256
რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	6	(2,128,956)	(7,636,006)
საერთო ზარალი		(662,433)	(710,750)
კომერციული ხარჯები	7	(55,620)	(201,508)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(170,847)	(420,722)
სხვა საოპერაციო შემოსავალი		234,765	239,954
საოპერაციო ზარალი		(654,135)	(1,093,026)
საპროცენტო ხარჯი		(3,911)	(7,426)
მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან		14	394
ზარალი გადასახადების გადახდამდე		(658,032)	(1,100,058)
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული ზარალი		(658,032)	(1,100,058)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 23 სექტემბერს:

ლევან ხელაძე
დირექტორი

შპს „ფორმულა“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020 (არააუდიტირებული)	31 დეკემბერი 2019 (არააუდიტირებული)
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	7,568,799	8,136,859
არამატერიალური აქტივები		27,200	56,429
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		11,970	11,970
სულ გრძელვადიანი აქტივები		7,607,969	8,205,258
მიმდინარე აქტივები			
საგადასახადო აქტივი		1,711	-
მარაგები		38,168	42,130
გაცემული სესხები		69,460	69,460
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	1,437,945	1,415,148
ფული და ფულის ექვივალენტები	11	4,727	267,027
სულ მიმდინარე აქტივები		1,552,011	1,793,765
სულ აქტივები		9,159,980	9,999,023
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		10,239,745	10,239,745
დაგროვილი ზარალი		(2,135,152)	(1,477,120)
სულ კაპიტალი		8,104,593	8,762,625
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	1,055,387	1,130,991
საგადასახადო ვალდებულებები		-	105,407
სულ მიმდინარე ვალდებულებები		1,055,387	1,236,398
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		9,159,980	9,999,023

4-10 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს „ფორმულა“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

(არააუდიტირებული)	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ კაპიტალი
1 იანვარი 2019	10,239,745	(377,062)	9,862,683
მიმდინარე წლის სრული ზარალი	-	(1,100,058)	(1,100,058)
31 დეკემბერი 2019	10,239,745	(1,477,120)	8,762,625
მიმდინარე წლის სრული ზარალი	-	(658,032)	(658,032)
31 დეკემბერი 2020	10,239,745	(2,135,152)	8,104,593

1. კორპორატიული ინფორმაცია

ფორმულა (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. იგი დაარსდა 2015 წლის 26 თებერვალს და არსებობს როგორც დამოუკიდებელი ერთეული. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 404488256.

ძირითადი საქმიანობა შპს „ფორმულა“-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მის საკუთრებაში მქონე ავტო გასამართ სადგურებზე ბუნებრივი აირის რეალიზაცია.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისის, ძველი თბილისის რაიონში, კოსტავას ქ., № 37-39.

კომპანიის მეწილეები: ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის ისევე როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის მეწილეები არიან შპს Trade Stone Iberia (406081485) და შპს ემჯი თრედიინგ (405073423).

ინვესტიციები: შპს „ფორმულა“ არ ფლობს ინვესტიციებს სხვა კომპანიებში.

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მესამე კატეგორიის კომპანიებისთვის დაშვებული მოდიფიკაციის გათვალისწინებით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის შპს „ფორმულას“ მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. კომპანიას ასევე გააჩნია უცხოურ ვალუტაში ოპერაციები.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშზე არსებულ ნაშთს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

• **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო რეზერვების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

• **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	5-15
კომპიუტერული ტექნიკა	3-10
მანქანა-დანადგარები	10-20
ავეჯი და საოფისე ინვენტარი	5-10

არამატერიალური აქტივები.

• **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

• **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

მარაგები. კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო დებიტორული დავალიანება გამოხატულია რეალიზაციის თანხით, კომპანიას არ გააჩნია საექვო ვალები. საექვო და უიმედო ვალების რეზერვი არ არსებობს კომპანიაში, ვინაიდან არასდროს არსებულა ობიექტური საფუძველი, რომ კომპანია ვერ შეძლებდა მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით, შესაბამისი საოპერაციო ხარჯების გამოკლებით და შემდგომში ასახულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები. 2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. შესაბამისად კომპანია აღარ აღიარებს მიმდინარე და გადავადებულ მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული მოგების განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

შემოსავლების აღიარება. შემოსავლები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყონებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

- **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.
- **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდინან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

5. შემოსავალი რეალიზაციიდან

კომპანიისათვის მთავარი საქმიანობაა, მის საკუთრებაში მქონე ავტო გასამართ საადგურებზე ბუნებრივი აირის რეალიზაცია, საიდანაც აკუმულირდება შემოსავლის ძირითადი ნაწილი.

6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც მარაგების მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად გაიწია.

7. კომერციული ხარჯები

	2020	2019
დაგროვებითი ბარათები	(52,246)	(177,879)
რეკლამისა და მარკეტინგის ხარჯი	(3,374)	(23,629)
სულ	(55,620)	(201,508)

შპს „ფორმულა“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2020	2019
შრომის ანაზღაურება და სხვა სარგებელი	(69,559)	(171,247)
საგადასახადო ხარჯი	(42,195)	(56,611)
საკონსულტაციო ხარჯები	(17,808)	(53,088)
საიჯარო ქირა	(11,762)	(46,112)
ცვეთა და ამორტიზაცია	(8,754)	(8,909)
ბანკის საკომისიო	(6,505)	(25,274)
კომუნიკაციის ხარჯები	(5,075)	(18,213)
წარმომადგენლობითი ხარჯები	(49)	(1,074)
სხვა ხარჯები	(9,140)	(40,194)
სულ	(170,847)	(420,722)

შპს „ფორმულა“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

9. ძირითადი საშუალებები

	მიწა	მანქანა- დანადგარები	მილსადენები და ავზები	შენობა- ნაგებობები	ავეჯი და საოფისე ინვენტარი	იჯარით აღებული ქონების კეტილმოწყობა	სხვა	ჯამი
თვითღირებულება								
2018 წლის 31 დეკემბერი	4,121,790	4,727,188	1,051,633	600,142	107,636	12,236	3,389	10,624,014
შემოსვლა	-	-	-	-	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-
2019 წლის 31 დეკემბერი	4,121,790	4,727,188	1,051,633	600,142	107,636	12,236	3,389	10,624,014
შემოსვლა	-	661	-	-	-	-	-	661
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-
2020 წლის 31 დეკემბერი	4,121,790	4,727,849	1,051,633	600,142	107,636	12,236	3,389	10,624,675
დაგროვილი ცვეთა								
2018 წლის 31 დეკემბერი	-	(1,378,012)	(370,302)	(112,713)	(52,124)	(3,231)	(1,897)	(1,918,279)
ცვეთის ხარჯი	-	(413,527)	(105,163)	(31,497)	(16,357)	(1,826)	(506)	(568,876)
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-
2019 წლის 31 დეკემბერი	-	(1,791,539)	(475,465)	(144,210)	(68,481)	(5,057)	(2,403)	(2,487,155)
ცვეთის ხარჯი	-	(413,659)	(105,163)	(31,497)	(16,070)	(1,826)	(506)	(568,721)
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-
2020 წლის 31 დეკემბერი	-	(2,205,199)	(580,629)	(175,707)	(84,550)	(6,883)	(2,909)	(3,055,876)
ნეტო საბალანსო ღირებულება								
31 დეკემბერი 2019	4,121,790	2,935,649	576,168	455,932	39,155	7,179	986	8,136,859
31 დეკემბერი 2020	4,121,790	2,522,650	471,004	424,435	23,086	5,353	480	7,568,799

შპს „ფორმულა“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო მოთხოვნები	1,415,228	1,256,715
გადახდილი ავანსები	22,717	158,433
სულ	1,437,945	1,415,148

11. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ფული ბანკში	4,727	250,512
ფული სალაროში	-	16,515
სულ	4,727	267,027

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო ვალდებულებები	1,054,417	1,123,859
მიღებული ავანსები	970	2,344
გადასახდელი ხელფასები	-	4,788
ჯამი	1,055,387	1,130,991